

საბა


2025, თებერვალი

№2 (350)

საბარითველთა კათოლიკეთა ყოველთვიური მანძი
THE MONTHLY BULLETIN OF CATHOLICS OF GEORGIA - SABA

წმიდა იაკობის გახსნა,
ვატიკანი





სარჩევი

რედაქციური გვერდი ... 3-4

პაპის მილოცვა 5

კათოლიკე ეკლესია
მსოფლიოში..... 6-7

ჩვენი ეკლესია..... 8-9

ჩანართი:..... I-VI

ეკუმენური გვერდი..... 10


სოციალური გვერდი - Iner
Georgia 11

ახალგაზრდული
გვერდი 12

იხედი საერთაშორისო
ლიტერატურაში..... 13-14

უცხოეთის ცის ქვეშ ... 15-16

ინფორმაცია..... 17



მარტის თვიდან ჩვენს ჟურნალს დაემატება ახალი რუბრიკა - ბიბლიური გვერდი, რომელსაც გაუძღვება მამა პიერ დიუმულენი



ჩვენი
ეკლესიის
ცხოვრება

თებერვალი

- 2 თებერვალი - მირქმა, ბერ-მონაზონთა დღე
- 9 თებერვალი - დიაკ. ანტონ ხითაროვის გახსენება (+2022)
- 11 თებერვალი - ლურდის ღვთისმშობლის ხსენება, სნეულთა დღე, მომლოცველობა სტამბულის ქართულ სავანეში
- 14 თებერვალი - წმ. კირილე და წმ. მეთოდე, ევროპის მფარველნი
- 17 თებერვალი - მ. სიმონ კლიმაშევსკის გახსენება (+2006)
- 22 თებერვალი - წმ. პეტრეს საყდარი
- 23 თებერვალი - მ. სტეფანე დემურიშვილის გახსენება (+1938)



საფოსტო მარკა „წმიდა ქეთევან დედოფალი“ მიმოქცევაშია!
ფოტოებზე:
ქეთევან დედოფლის ფრესკა შიომღვიმის მონასტრიდან;
პორტუგალიური პანოს დეტალი.
ორივეზე მარჯვენა კუთხეში აღნიშნულია დედოფლის ხელრთვა.



მამა მებრიელა
ბრანბანიანი CSS
მთავარი ჩედაქორი

შჰიდი სახე და... ფლბერი

შეუძლებელია, მოკლედ შევაჯამოთ განვლილი 2024 წელი, მოვლენებით აღსავსე, მათ შორის, მტკივნეული წინააღმდეგობებით. ვფიქრობ, გაგვიჭირდება ამ წლის მოკლე რეალისტური მიმოხილვა. მისი დასრულებიდან ერთი თვის თავზე, წარმოგიდგინო მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან რამდენიმე სახეს, რომლებმაც სულ სხვა იერი შესძინეს ამ წელს.

ჟიზელ პელიკო: 19 დეკემბერს ავინიონის (საფრან-



ადამიანის სიცოცხლის ხელყოფისა და კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ. დიდი იმამი ცდილობს ვალდებულებათა შესრულებას უკვე რელიგიის საქმეთა მინისტრის რანგში.

ალისა კისია: ქრისტიანი აქტივისტი პალესტინის დასავლეთ სანაპიროდან, საოკუპაციო პოლიტიკის წინააღმდეგ მებრძოლი სახე, რომელსაც მხარს უჭერს ისრაელის ულტრამემარჯვენე მთავრობა; იგი დედასთან ერთად დააპატიმრეს მინის უკანონო მიტაცებისათვის „წინააღმდეგობის“ განწევის გამო, მას შემდეგ, ადგილზე, რომელსაც 40 წელია ფლობს, გაშალა სოლიდარობის კარავი, და შეუერთდა ისრაელ-პალესტინის არასამთავრობო ორგანიზაციას „მშვიდობისათვის მებრძოლნი“.



გეთი) ტრიბუნალმა გაასამართლა ორმოცდათერთმეტი მამაკაცი ჟიზელ პელიკოს გაუპატიურების გამო, რაც წლების განმავლობაში ორგანიზებული იყო მისი მეუღლის მიერ. თავად მსხვერპლმა მოითხოვა, რომ სასამართლო ღია კარის რეჟიმში ჩატარებულიყო, რათა ყველასთვის ნათელი ყოფილიყო, რომ მსხვერპლს არასოდეს უნდა რცხვენოდეს მიყენებული ზიანის, უნდა რცხვენოდეს მას, ვინც ამ დანაშაულს ჩადის. იგი იქცა საერთო ხატად იმისა, რომ უნდა დაგმო, ხმამაღლა ილაპარაკო, სამართალი ითხოვო, მაგრამ, ამასთანავე, პატივისცემით მოეკიდო საკუთარ ჯალათებს.

ნასარუდინ უმარი: იმ მომენტებს შორის, რაც ქრისტიანთა მეხსიერებაში დარჩება გასული წლის ოქტომბრის თვეში პაპ ფრანცისკეს ინდონეზიაში ვიზიტისას, იქნება მოკრძალებული მიღება ჯაკარტაში, ისტიქლალის მეჩეთის დიდი იმამის, ნასარუდინ უმარის მხრიდან და ისტიქლალის დეკლარაციაზე ერთობლივი ხელმოწერა, რომელიც რელიგიებს სათანამშრომლოდ ინვეეს, რათა გაილაშქრონ კონფლიქტების დროს



კარლოს ედრიელ პოკიზ იულო: ფილიპინების ეპისკოპოსებმა დააფასეს პარიზის ოლიმპიურ თამაშებზე ორი ოქროს მედლის მფლობელის, 24 წლის ტანმოვარჯიშის, კარლოს ედრიელ პოკიზ იულოს ტალანტი, შეუპოვრობა და რწმენა; ის გახდა პირველი ფილიპინელი სპორტსმენი, რომელ-



მაც ასეთ შედეგს მიაღწია. სემინარისტებთან ერთ-ერთ შეხვედრაზე მან განაცხადა: „ჩვენ უნდა განვაგრძოთ ცხოვრების მიზნის ძიება, კმაყოფილი ვიყოთ იმით, რაც გვაქვს და დავაფასოთ ყველა მადლი, უნარი და შესაძლებლობა, რადგან ყველაფერი, რაც გაგვაჩნია, ღმერთისგან მოდის“.

აკინი პაულინა ჯუმა: 29 წლის კენიელი, სამი შვილის დედა, 16-დან 19 წლამდე იგი მძიმე სექსუალურ ძალადობას განიცდიდა ნაირობში, კიბერას ღარიბ ბარაკებში და შემდეგ მოძალადე ქმრისაგან... მას ეყო სულიერი გამბედაობა, რომ თავი დაეღწია ამ ჯოჯოხეთისაგან და დაეფუძნებინა ორ-

განიზაცია (Rebirth of a Queen), რომელმაც 5 წლის განმავლობაში ორას ოცდახუთი ქალი გაათავისუფლა.

სემი ბასო: მას ყველა მიზეზი ჰქონდა, რომ არ შერიგებოდა ბედს, რომელმაც დაბადებიდანვე განირა იგი. სემი დაავადებული იყო პროგერიით, იშვიათი გენეტიკური პათოლოგიით, რაც განუვითარებელი ორგანიზმის ნაადრევად დაბერებით ხასიათდება. იგი გარდაიცვალა გასული წლის 5 ოქტომბერს, 29 წლის ასაკში, იტალიის ქალაქ ასოლოში, არადა, სემი ბასოს



ძლიერ უყვარდა სიცოცხლე: მან გვასწავლა, რომ შეიძლება იყო ბედნიერი... შეიძლება გულში გრძნობდე სიმყიფეს, მაგრამ აქციო ის შენს რესურსად და არა შეზღუდვად.

ჯეიმს დევიდ ვენსი: ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატების 50-ე არჩეული ვიცე-პრეზიდენტი, სენატორი, აღზრდილი პროტესტანტიზმის „კონსერვატორულ და ევანგელურ“ შტოში, 2019 წელს შეუერთდა კათოლიკე ეკლესიას, რადგან დროთა განმავლობაში დარწმუნდა, რომ კათოლიციზმი იყო ჭეშმარიტი... „წმიდა აგუსტინემ გამიხსნა გზა ქრისტიანული სარწმუნოების შესაცნობად...“ - აღნიშნავდა ვენსი.



და... **ფლაერი,** ძირს დაგდებული, გათელილი, ადამიანთა დასისხლიანებული და შეშუპებული სახეებით; ისინი თბილისში, გასული წლის დეკემბრის თვეში, გამართული საპროტესტო მანიფესტაციის მონაწილეები არიან: არა იმდენად „აჯანყებული ადამიანები“, როგორც კამიუ იტყოდა, რამდენადაც პირები, რომლებიც, როგორც სხვა ადამიანები მსოფლიოში, ითხოვენ სამართლიანობას, დიალოგს, მშვიდობას, პატივისცემას... უკეთეს საზოგადოებას.





Venerabili Fratri

IOSEPHO PASOTTO, C.S.S.

Episcopo titulari Mustitano

Administratori Apostolico Caucasi Latinorum

in Epiphania Domini argenteum ordinationis episcopalis iubilaeum feliciter celebranti, fraterne hunc laetum eventum gratulamur, memores eius operis pro bono fidelium et clericorum Administrationis Apostolicae Caucasi Latinorum studiose, in provincia potissimum catechetica et caritativa, expleti necnon navitatis ipsius pro beneficio illorum qui Dominum quaerunt, dum, intercedente Beata Maria Virgine, bona, felicia, fausta ominamur, benedictionem ei eiusque gregi atque propinquis libentes impertimur, preces pro Nostro Petri ministerio expostulantes.

Datum Romae, Laterani, die XX mensis Decembris, anno MMXXIV.

Franciscus

პაპმა ფრანცისკემ მეუფე ჯუზეპე პაზოტოს ეპისკოპოსად ხელდასმის 25 წლის იუბილე მიულოცა: „უფლის გამოცხადების დღესასწაულზე საეპისკოპოსო ხელდასმის ვერცხლის იუბილეს ბედნიერი აღნიშვნის გამო, ძმურად ვულოცავთ ამ სასიხარულო მოვლენას, ვიხსენებთ რა მის თავდადებულ მსახურებას კავკასიის ლათინთა სამოციქულო ადმინისტრაციის მორწმუნეთა და სამღვდელოების კეთილდღეობისათვის, განსაკუთრებით კატეჩიზაციისა და საქველმოქმედო საქმიანობის სფეროში, ასევე მის მოღვაწეობას უფლის მაძიებელთა სასიკეთოდ. ყოვლადწმინდა ქალწული მარიამის შუამდგომლობით, ვუსურვებთ ყოველგვარ სიკეთეს, ბედნიერებას და წარმატებას, სიხარულით ვუძღვნით ლოცვა-კურთხევას მას, მის სამწყსოს და ახლობლებს, და ვთხოვთ ლოცვებს ჩვენი პეტრესეული მსახურებისათვის“.

პაპი ფრანცისკე

მიხეპულიან რომი, ლატერანში, 2024 წლის 20 დეკემბერს

საიუბილეო მომლოცველობის დასაწყისი

2024 წლის 24 დეკემბერს, შობის წინადღით, ვატიკანში, წმიდა პეტრეს ბაზილიკაში პაპმა ფრანცისკემ წმიდა კარი გახსნა. ეს სიმბოლურად ასახავს ცოდვიდან მაღლში გადასვლას, რიტუალს, რომელიც უნდა აღასრულოს ყოველმა ქრისტიანმა, რათა მიეცეს შესაძლებლობა საკუთარი თავისა და გარდაცვლილთათვის შენდობის თხოვნისა.

2025 საიუბილეო წლისადმი მიძღვნილი ოფიციალური საიტის (<https://www.iubilaeum2025.va/>) 7 იანვრის მონაცემებით, ვატიკანის წმიდა პეტრეს ბაზილიკის კარიბჭე უკვე ნახევარ მილიონზე მეტმა ადამიანმა გადაკვეთა. მომლოცველებისთვის გაიღო პაპის სხვა სამი ბაზილიკაც, - წმიდა პავლეს, წმიდა იოანე ლატერანელისა და სანტა-მარია-მაჯორეს ტაძრები. როგორც აღნიშნა საიუბილეო ღონისძიებათა მთავარმა ორგანიზატორმა, ევანგელიზაციის დიკასტერიის პრეფექტმა, მთავარეპისკოპოსმა რინო ფიზიკელამ, „დიკასტერია დაუღლელად იღვწის, იმისთვის რომ ღირსეულად



უმასპინძლოს მომლოცველებს. რაც შეეხება იანვრის ღონისძიებებს, 24-26 იანვარს გაიმართება „კომუნიკაციების სამყაროს იუბილე“, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ჟურნალისტები და მასმედიის სფეროში მომუშავე სხვა სპეციალისტები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან.

პაპის შეხვედრა დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან



9 იანვარს უწმიდესმა ფრანცისკემ, ტრადიციისამებრ, წმიდა საყდარში აკრედიტებულ ელჩებს მიმართა და მოუწოდა, კვლავაც იღვანონ „იმედის დიპლომატიის“ სარბიელზე. „ჩვენ ვხედავთ გამოწვევას, უნდობლობითა და მომავლის შიშით მოცულ საზოგადოებას... სასოებით ვლოცულობ, იმისთვის რომ ამ ახალ, საიუბილეო წელს ყველამ, როგორც ქრისტიანებმა, ასევე არაქრისტიანებმა, ხელახლა გავიაზროთ დამოკიდებულებები, რომელიც გვაკავშირებს როგორც ადამიანებს და როგორც პოლიტიკურ საზოგადოებებს... პოლიტიკურ ლიდერთა

მოწოდება მშვიდობის, ჭეშმარიტების, შენდობის, თავისუფლებისა და სამართლიანობის უწყებაა. ვისურვებ, რომ 2025 წელს მთელმა საერთაშორისო საზოგადოებრიობამ, უპირველეს ყოვლისა, იღვანოს უკრაინაში მიმდინარე კონფლიქტის აღმოფხვრისათვის. უკვე თითქმის სამი წელიწადია, იღვრება სისხლი, ამ ომს უამრავი ადამიანი ეწირება, მათ შორის, უკრაინის მშვიდობიანი მკვიდრნი. დაე, შეწყდეს ცეცხლი ღაზას სექტორში, გათავისუფლდეს ყველა მძევალი. დაე, იერუსალიმი ქრისტიანთა, იუდეველთა და მუსლიმთა შეხვედრის ადგილად იქცეს. სასოებას არ ვკარგავ და ვლოცულობ, იმისთვის რომ ისრაელიანები და პალესტინელები მცირედით დაიწყებენ და დიალოგისა და ნდობის ხიდების აღდგენას შეძლებენ“, - აღნიშნულია პაპის მიმართვაში. ფრანცისკემ ასევე ღარიბი ქვეყნების საგარეო ვალების გაუქმებისკენ მოუწოდა: „ვთხოვ მდიდარ სახელმწიფოებს, აპატიონ ვალები იმ ქვეყნებს, რომლებიც ამ ვალებს ვერასდროს გადაიხდიან. ეს, უბრალოდ, ხელგაშლილობა კი არ იქნება, არამედ სამართლიანობის აქტი“. ფრანცისკემ ისაუბრა ტრეფიკინგის, სიკვდილით დასჯის, მომხმარებლობის სენის შესახებაც.



ვატიკანის ერთ-ერთი დიკასტერიის პრეფექტად მონაზონი დაინიშნა



უნმიდესი ფრანცისკეს გადანყვეტილებით, მანუგეშებელი ღვთისმშობლის მისიონერული კონგრეგაციის მეთაური, მონაზონი სიმონა ბრამბილა მიძღვნილი და მოციქულებრივი

ცხოვრების საზოგადოებათა დიკასტერიის პრეფექტად დაინიშნა. 60 წლის დედა სიმონა პროფესიით მედდაა. 2011-23 წლებში იგი კონგრეგაციის მეთაური იყო. აქვს მოზამბიკში მსახურების გამოცდილება. 2023 წლის ოქტომბრიდან მონაზონს იმავე დიკასტერიაში მდივნის თანამდებობა ეკავა. წმიდა საყდრის სტატისტიკური მონაცემების თანახმად, უნმიდესი ფრანცისკეს მოსაყდრეობის პერიოდში ვატიკანის სხვადასხვა უწყებაში მომსახურე ქალთა რიცხვმა საგრძნობლად იმატა. 2022 წლის კონსტიტუციის *Praedicate Evangelium* თანახმად, საეროებს, მათ შორის ქალებს, უფლება აქვთ დაიკავონ დიკასტერიის პრეფექტის თანამდებობა. მანამდე ეს უპირატესობა მხოლოდ მთავარეპისკოპოსებსა და კარდინალებს ჰქონდათ.

ჩინეთის კათოლიკეები თიბეთის მინისტრით დაზარალებულ მკვიდრთ ეხმარებიან

7,1 მაგნიტუდის მიწისძვრა ტიბეტში 7 იანვარს მოხდა. სტიქიის შედეგად დაიღუპა ას ოცი ადამიანი, ასეულობით დაშავდა, დაინგრა ათასობით სახლი. იმავე დღეს ჩინეთის კათოლიკე ეკლესიის სხვადასხვა ეპარქიამ მორწმუნეებს დაზარალებულთა დახმარებისაკენ მოუწოდა. „გავიხსენოთ ჩვენი უფლის სიტყვები: „რაც გაუკეთეთ ერთს ამ ჩემს უმცირეს ძმათაგანს, მე გამიკეთეთ“ (მათ. 25, 40), - ნათქვამია პეკინის ეპარქიის ოფიციალურ განცხადებაში. სანამ მაშველები ნანგრევების ქვეშ მოყოლილი ტიბეტელების გადარჩენას ცდილობდნენ, ჩინელ კათოლიკეებს თავიანთი წვლილი შეჰქონდათ დაზარალებულთა დახმარების საქმეში. პირველი შემოწირულობის თანხამ, რომელიც შანხაის ეპარქიის მორწმუნეებმა შეაგროვეს, 66 000 ევრო შეადგინა.



საიუბილეო წელი დაიწყო



ნუგზარ ბარდაველიძე

მილიონობით ადამიანს ჰქონდა საშუალება, პირდაპირ ეთერში ეყურებინა პაპ ფრანცისკეს მიერ წმ. პეტრეს ბაზილიკაში საიუბილეო კარიბჭის კურთხევისა და გაღების ცერემონიისათვის, რომელიც 25 წელიწადში ერთხელ სრულდება უმაღლესი პონტიფიქსის მიერ. ანალოგიურად, ყველა კათოლიკურ ეპარქიაში ადგილობრივი ეპისკოპოსები საზეიმოდ აკურთხებენ საკათედრო ტაძრების კარს და მრევლთან ერთად შედიან ტაძრებში. ამგვარად იწყება ყოველი ახალი საიუბილეო წელი, რომელსაც იმედი და სიხარული მოაქვს მილიონობით მორწმუნისათვის. ისევე როგორც ასეულობით კათოლიკურ საეპარქიო ცენტრებში, თბილისშიც საზეიმოდ დაიწყო საიუბილეო 2025 წელი.

ტრადიციულად, საიუბილეო წლის დაწყებას და მთავარი ტაძრის კარიბჭის კურთხევას წინ უძღვის მომლოცველობა. საქართველოშიც საიუბილეო წლის საზეიმოდ აღნიშვნა მომლოცველობით დაიწყო, საქართველოს სხვადასხვა საკრებულოდან ჩამოსულ მომლოცველებს გორის წმ. ოჯახის სამლოცველომ უმასპანდა. ეს არაა შემთხვევითი, რადგან გორის კათოლიკური საკრებულო ერთ-ერთი უძველესია საქართველოში, მე-17 საუკუნის 20-ანი წლებიდან გორში თეატინელ მამათა მიერ დაფუძნდა საკრებულო და, მიუხედავად სხვადასხვა წინააღმდეგობისა და სატაძრო ნაგებობების იძულებით ჩამორთმევისა, კათოლიკური თემი ქართლის გულად ნოდებულ ქალაქში მუდამ არსებობდა.

ქალაქი გორი, თბილისთან, ქუთაისთან და ახალციხესთან ერთად, ბოლო ოთხი საუკუნე საქართველოში კათოლიკობის მთავარ ცენტრად მოიაზრებოდა.

გორის სამლოცველოში საიუბილეო წლის მომლოცველობა ამ საკრებულოს უმთავრესი რელიკვიის, მაცხოვრის ჯვარცმის, წინაშე ლოცვით დაიწყო. ეს ჯვარცმა უნიკალური და განსაკუთრებულად სათაყვანებელია არა მხოლოდ გორის კათოლიკეთათვის, არამედ სრულიად საქართველოს კათოლიკე მრევლისთვის. მაცხოვრის ეს ჯვარცმა ნეაპოლურ სამხატვრო სკოლაში შეიქმნა და მე-19 საუკუნის დასაწყისიდან საუკუნე-ნახევარი ამშვენებდა გორის ტაძარს. 1937 წელს, ტაძრის დაკეტვის შემდგომ, ის გორის მხარეთმცოდნეობის საცავებში იყო გამოკეტილი. საქართველოში ლათინური წესის სამოციქულო ადმინისტრაციის ამოქმედების შემდგომ მაცხოვრის ჯვარცმა, რომლის ჯვრის ნაწილიც საკმაოდ დაზიანებული იყო, კათოლიკე ეკლესიას გადაეცა და მეოთხედი საუკუნეა გორის წმ. ოჯახის სამლოცველოს ამშვენებს. ამ გამორჩეულ ჯვარცმას, რომელიც გორელი კათოლიკეების უპირველესი სინამდვილეა, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან სტუმრობდნენ კათოლიკე მორწმუნენი მოსალოცად, მათ სწამთ, რომ ეს ჯვარცმა სასწაულმოქმედი.

მეუფე ჯუზეპე პაზოტოს კურთხევით, მაცხოვრის ჯვარცმამ გორის სამლოცველოდან თბილისის მარიაძის ზეცად აღყვანების საკათედრო ტაძარში დაიდო ბინა და საიუბილეო წლის განმავლობაში ის მომლოცველ მორწმუნეთათვის იმედის სიმბოლო იქნება. აქვე აღვნიშნავ, რომ საკათედრო ტაძრისათვის ეს მეორე საიუბილეო წელია, 2000 წელს მეუფე ჯუზეპემ პირველად აკურთხა საკათედრო ტაძრის კარიბჭე და მისი ახლად ჩამოსხმული ბრინჯაოს ბარელიეფები.

ამ უმნიშვნელოვანეს მოვლენასთან დაკავშირებით, თბილისის მარიაძის ზეცად აღყვანების ტაძრის მრევლის წევრი, ქალბატონი **თინა ჯანაშვილი**, წერს: როცა გამოაცხადეს საიუბილეო წელიწადთან დაკავშირებული კარის გახსნა, ეს იყო დიდი საჩუქარი და დიდი გამოწვევა, როგორც ჩემთვის, ისე მთელი კათოლიკეებისათვის. 1999 წელს საკათედრო ტაძრის კარი პირველად გაიღო. მე ვერ მივიღე მონაწილეობა ამ ცერემონიაში, ჩემთვის ეს წელი უმძიმესი იყო. და აი, მომეცა შესაძლებლობა, რომ ახლა დავსწრებოდი წმიდა კარის გახსნას. თანაც კიდევ ერთი სასიხარულო ამბავი გვაუწყეს: გორიდან ჯვარცმის ნამობრძანება. ჩვენს ეპისკოპოსს ჯუზეპე პაზოტოსთან ერთად, საქართველოს ყველა კუთხიდან შე-

ვიკრიბეთ მომლოცველი კათოლიკეები ამ პატარა სამლოცველოში, ყველას გვიმასპინძლა იქაურმა მრევლმა, ისინი ბედნიერები იყვნენ ჩვენი სტუმრობით, მაგრამ ნაღვლიანი სახეებით შემოგვცქეროდნენ, რადგან მათთვის ესოდენ ძვირფას ჯვარცმას გვატანდნენ... პირველად ტოვებდა გორს მაცხოვრის ჯვარცმა... ის ავტობუსით წამოვებრძანეთ თბილისისაკენ. გზად გავიარეთ გორში ჩვენს ყოფილ ტაძართან, რომელიც დღეს მართლმადიდებლებს ეკუთვნის. ეს სიმბოლური იყო: ჯვარცმამ, საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოსულ მომლოცველებთან ერთად, მონახულა ის ტაძარი, სადაც საუკუნე-ნახევარი იყო დაბრძანებული.

ლოცვით გამოვემართეთ თბილისისაკენ. ვუმზერდი ჯვარცმას, რომელიც ჩემთან ასე ახლოს იყო მოთავსებული, ალბათ იმიტომ, რომ მინდოდა მაცხოვრის სიყვარული მეგრძნო... ტაძართან მრევლი და მოძღვრები შემოგვეგებნენ. გული დამწყდა, როცა დავინახე, რომ ამ ვინრო ქუჩაზე მოძრავი მანქანები არცკი შეჩერდნენ, იქ მსხდომმა ადამიანებმა გადმოსვლა არ ინებეს, თითქოს იესო მხოლოდ იმ მომლოცველთათვის ევნო, რომლებიც მას მოვაცილებდით. გამახსენდა ჯვრის გზა გოლგოთამდე, როცა ჩვენ, მომლოცველები, მიუყვებოდით მას მძიმე ჯვრით მხრებზე, და ვფიქრობდი იესოზე, ამ გზაზე რომ ეზიდებოდა ჯვარს და მისთვის არავის ეცალა. სწორედ ასეთი სურათი იყო აქაც. მაგრამ ძალიან ლამაზი დახვედრა გვქონდა ჩვენს ტაძართან, სადაც გალობითა და ლოცვით შევებრძანეთ მაცხოვრის ჯვარცმა, რომლის ჩვენთან ყოფნის ბედნიერება ერთ წელიწადს გაგრძელდება, და ვფიქრობ, ეს წელი იქნება ჩვენი გაერთიანების, მშვიდობისა და იმ იმედისა, რომელსაც იესო გვაძლევს.

და ბოლოს, მინდა გადმოგცეთ გორის სამრევლოს ერთი ერთგული მორწმუნის, ზოია კაჭკაჭიშვილის, თხოვნა-ვედრება. მან ილოცა ჯვარცმის წინაშე, მერე მოვიდა ჩემთან თვალცრემლიანი, ჩამეხუტა და მითხრა, ჩვენს იმედს გიტოვებთ, მოუარეთ და ერთი წლის მერე დაგვიბრუნეთ, მისი ადგილი გორშიაო. მე მადლობა გადავუხადე, დავამშვიდე, ვუთხარი, რომ ჩვენი მეუფე ყველასა და ყველაფერს ერთგულად ემსახურება, და ჯვარცმას, რომელიც ყველასთვის უდიდესი განძი და სიყვარულია, დიდებით დავაბრუნებთ გორის საკრებულოში...

აქვე, მსურს, მადლობა გადავუხადო ამ ლამაზი დღისათვის ჩვენს მეუფეს, ჯუზეპე პაზოტოს, მამა გაბრიელე ბრაგანტინის, ყველა მოძღვარს, მონაზონსა და იმ მონაწილეებს, რომლებმაც იზრუნეს, ასე ამაღლებულად რომ დაგვეწყო საიუბილეო წელიწადი.





თავიანთი ნაყოფით იცნობთ მათ

ბერმონაზვნური ინსტიტუციების არსებობა საქართველოში კათოლიკე ეკლესიის ისტორიაში ძალზედ მნიშვნელოვანია; გავიხსენოთ თუნდაც ასურელი მამები (VI-VII ს.), დომინიკელთა და ფრანცისკელთა მოღვაწეობა XIII ს-ში, ან თეატინელთა და კაპუცინთა - XVII ს-ში. XX ს-ში, კომუნისტური რეჟიმის დაცემის შემდეგ, საქართველოში შემოვიდა სხვადასხვა რელიგიური ორდენი, რომლებიც მიზნად ისახავდნენ არა პროზელიტიზმს, არამედ კათოლიკე ეკლესიისა და ქართველი ხალხის დახმარებას თავთავიანთი ქარიზმით. „საბას“ თებერვლის ნომრის ჩანართისათვის ჩვენ ვთხოვეთ აქ მყოფ რელიგიურ თემთა წარმომადგენლებს, მოკლედ აღწერათ თავიანთი ორდენის ან კონგრეგაციის ისტორია, საქართველოში მათი ყოფნისა და მოღვაწეობის ისტორია, გამოეთქვათ აზრი, ან მოეყვანათ მაგალითი იმედის შესახებ, რამდენადაც **იმედი წლევანდელი საიუბილეო წლის მთავარი სიტყვაა**. ვიმედოვნებ, რომ ღიად და მკაფიოდ შეიძლება განვაცხადოთ, რარიგ მშვენიერი, მრავალფეროვანი და გულმოდგინეა ჩვენი

ეკლესია საქართველოში! ამჟამად საქართველოში ბერების ოთხი ორდენი (**სტიგმელნი, კამილიელები, სალუზელნი და კაპუცინები**) და მონაზვნების ექვსი ორდენი (**წმიდა იოსების მცირე ქალიშვილები, დედა ტერეზას დები, სალუზელნი, ბენედიქტელები, წმიდა ნინოსა და ელისაბედის დები**) მოღვაწეობს.

უკვე წლებია, ტრადიციულად, 2 თებერვალს, უფლის მირქმის დღესასწაულზე, ერთად ვფიქრობთ და ვლოცულობთ ბერმონაზვნურ ცხოვრებაზე, მისი მრავალგვაროვანი ფორმით. გარდა ამისა, ჩვენი ეპისკოპოსი, თავის სამწყსო წერილში, რომელიც ახლახან გამოიცა, მოუწოდებს მორწმუნეებს, მოინახულონ და გაეცნონ ზოგიერთი რელიგიური ორდენის საქველმოქმედო ინიციატივას (გვ. 28), გარკვეული ხნით დაჰყონ მათ გვერდით, რათა მათთან ერთად განიცადონ ლოცვის ინტენსიური წუთები (გვ. 31-32).

დიდი მადლობა მათ, ვინც მონაწილეობა მიიღო ამ ჩანართის მომზადებაში.

მამა ბაბრიელ ბრატანდინი



სტიგმალინი



ჩვენ, **მამა გაბრიელე, მამა დანიელე და ძმა ილია**, ვართ წარმომადგენლები ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს წმიდა იარების კონგრეგაციისა, რომელიც სტიგმალინი (Stigmatini) სახელით არის ცნობილი; ჩვენი კონგრეგაციის დამფუძნებელია წმიდა გასპარე ბერტონი (1777-1853), ვერონის ეპარქიის მღვდელი, რომელიც 1816 წელს, რამდენიმე მეგობართან ერთად, წმიდა ფრანცისკეს სტიგმების სახელით წოდებულ პატარა, მიტოვებულ ეკლესიაში განმარტოვდა, ნაპოლეონის რეჟიმით დაუძღვრებული სასულიერო ცხოვრების აღორძინების მიზნით. მან თავისი კონგრეგაციის მფარველებად და მაგალითებად აირჩია წმიდა წყვილი - მარიამი და იოსები, მათი ნიშნობის მომენტში, და ჩვენი უფლის, იესოს ჭრილობები. „სახლში ბერები“ და „გარეთ მოციქულები“ - ასეთი იყო მოთხოვნა და ისინიც მზაობას იჩენდნენ ღვთის სიტყვის მსახურებისადმი, განსაკუთრებით ახალგაზრდების, მოზარდებისა და მღვდლების მიმართ ეპარქიებსა და მთელ მსოფლიოში, ადგილობრივი ეპისკოპოსის მითითებებით.

საქართველოში სტიგმელ ბერთა კონგრეგაცია 1994 წლიდან არსებობს, წმიდა საყდრის მოწვევის საფუძველზე; ვმკვიდრობთ ქ. ქუთაისში. ამ წლების განმავლობაში ჩვენთან ერთად იყო **მეუფე ჯუზეპე**, ამჯერად ჩვენი ეპისკოპოსი, **მამა კარლო** და **მამა ლუიჯი**. როდესაც იმედზე ვფიქრობთ, გვგონია, რომ სწორედ ჩვენი ყოფნა იმედის ნიშანი ჩვენი კონგრეგაციისა და საქართველოში ჩვენი ეკლესიისათვის.

კამილიანი

კამილიელთა ორდენი, რომელიც წმიდა კამილო დე ლელისმა 1586 წელს დააფუძნა, მთლიანად ავადმყოფთა და გაჭირვებულთა მსახურებას ეძღვნება. ორდენის უმთავრესი მისიაა ტანჯულთათვის ფიზიკური, სულიერი და ფსიქოლოგიური დახმარების განწევა, რასაც წმიდა კამილოს მიმდევრები უსაზღვრო სიყვარულითა და თავდადებით ასრულებენ. ორდენის დევიზია: „სიყვარული ავადმყოფთა მიმართ არის სიყვარული ქრისტეს მიმართ“. უკვე 28 წელია, რაც კამილიელები საქართველოში მსახურებენ და თავიანთ საქმიანობას სამედიცინო, სასულიერო და სოციალური დახმარების მიმართულებით წარმართავენ. დღესდღეობით საქართველოში ხუთი ბერი (**მამა პავლე დილი, მამა ზიგმუნდ ნეჯვეჯი, მამა ლაშა მანუკიანი, მამა აკაკი ჭელიძე, ძმა პაატა ჩუბინიძე**) მოღვაწეობს, რომელთა ცხოვრებაც ავადმყოფთა და გაჭირვებულთა მსახურებას ეძღვნება.

ფიქრები იმედზე: იმედი გულისხმობს უნარს, დაინახო სინათლე თუნდაც უკუნეთ სიბნელეში.



თბილისის სარეაბილიტაციო ცენტრში ერთმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანმა, მძიმე სენით შეპყრობილმა, წარმოთქვა: „სანამ თქვენს თანადგომას ვგრძნობ, დარწმუნებული ვარ, რომ უფალი მფარველობს“.

მამა ლაშა მანუკიანი MI.

სალეზელინი

სალეზელთა კონგრეგაციის დამფუძნებელი არის წმ. იოანე ბოსკო. ჩვენი ქარიზმის მიმდებები არიან ბავშვები და ახალგაზრდები, განსაკუთრებით ღარიბები. საქართველოში ხუთი სალეზელი მსახურებს (**მამა ვიტოლდი, მამა ანატოლი, მამა მიხაელო, მამა ანჟეი იანიცკი, მამა კუიშტოფ ნესტორუკი**). 1987 წლის 24 ივნისს პირველი ჩამოვიდა მამა ან-



ჟეი იანიცკი. საქართველოში ჩვენი ყოფნის მიზანია ვემსახუროთ ბავშვებსა და ახალგაზრდებს. უკვე 38 წელია, რაც საქართველოში ვიმყოფებით. საღებელთა პირველი საკრებულო, მიძღვნილი წმ. გიორგისადმი, დაარსდა 2016 წლის 24 ივნისს.

2025 წელი საღებელთა საკრებულოსათვის არის არა მხოლოდ **იმედის წელი**, არამედ მისი პირველი მისიონერული ექსპედიციის 150 წლის იუბილე. ჩვენი იმედი არის ახალი მისიონერული მოწოდებები, ასევე - საქართველოში.

წმიდა იოსაბის მცირე ქალიშვილთა კონგრეგაცია

ქალთა რელიგიური ინსტიტუტი დაარსდა 1894 წელს, იტალიაში, კერძოდ, ვერონაში, რონკო ალ'ადიჯეს საკრებულოს წინამძღვრის, ნეტარი ჯუზეპე ბალდოს მიერ. თავად სახელწოდება მიუთითებს ინსტიტუტის ქარიზმაზე, რომელიც გამომხატულია ორ სიტყვაში: სიმცირე და თანაგრძნობა. დამფუძნებელს სურდა, რომ მონაზვნები ყოფილიყვნენ „მცირენი“ ანუ თავმდაბალნი, შრომისმოყვარენი, ქრისტეში დაფარულნი (კოლ. 3, 3), თანამგრძნობნი. დღეს წმიდა იოსების მცირე ქალიშვილები იმავე სულისკვეთებით ემსახურებიან ქრისტიან კათოლიკეებს მთელ მსოფლიოში: აფრიკაში, კერძოდ, კენიაში; რუანდაში, უგანდასა და გვინეაბისაუში; ასევე ბრაზილიასა და საქართველოში.



ჩვენ საქართველოში ვიმყოფებით 1996 წლიდან, როგორც აღმოსავლეთის კათოლიკური თემების მსახურებაში მყოფი სახარებისეული ოჯახი, რომელიც გამოირჩევა თავისი სულიერებითა და თანაგრძნობით. წლების განმავლობაში რამდენიმე მონაზონი მსახურებდა საქართველოში, ამჟამად მხოლოდ ორნი ვართ: **და ანა მარია კრიველარი** და მე, და **ლორედანა მონეტი**. მიუხედავად „მცირერიცხოვნებისა“, ვცდილობთ, ვიყოთ მათი იმედი, ვისაც ვუახლოვდებით, ვაცნობიერებთ, რომ ამქვეყნად მთავარია ვიმყოფებოდეთ იქ, სადაც მოგვინოდეს, რათა დავამონმოთ სიყვარული იესო ქრისტესი, რომლის იმედი მუდამ გვექნება. 28 წელია, რაც ერთად ვადგავართ ამ გზას და ვოცნებობთ იმაზე, რომ რომელიმე ახალგაზრდა შემოგვიერთდება. უტოპიაა? არა, **ეს იმედია!** ნელს, თავის სამწყსო წერილში, ეპისკოპოსმა შემოგვთავაზა, გავუზიაროთ ჩვენს საკრებულოებს ლოცვის გამოცდილება. ჩვენი კარი ღიაა. სამკალი ბევრია. ბედნიერი ახალი წმიდა წელი! იმედის წელი!

და ლორედანა მონეტი

დედა ტერეზას დეპი

მოწყალების მისიონერები ცნობილნი ვართ, როგორც დედა ტერეზას დეპი. დედა ტერეზა არის კონგრეგაციის დამფუძნებელი. იგი დაიბადა 1910 წლის 26 აგვისტოს და იესოსთან დაბრუნდა 1997 წლის 5 სექტემბერს. ის მოიხსენიება სწორედ ამ დღეს. ჩვენი კონგრეგაციის მიზანია ჯვარცმული იესოს წყურვილის დაოკება, მას ხომ სიყვარული სწყურია. სწორედ ამიტომ დების ყველა სამლოცველოში კედელზე, ჯვრის გვერდით, დაწერილია სიტყვა „მწყურია“. ჩვენი მისიაა გვიყვარდეს და ვემსახუროთ იესოს ღარიბთა შორის უღარიბესებში, რომლებიც საზოგადოების მიერ არიან უარყოფილნი, გარიყულნი და არასასურველნი. ჩვენ ვემსახურებით მათ ღვთის სიყვარულით, თავმდაბლობითა და მზრუნველობით.

თბილისში ჩვენი მისია დაიწყო 1989 წლის 29 ივნისს. ამჟამად გვაქვს სახლი ავადმყოფი და ხანდაზმული ადამიანებისათვის. ასევე, ვასწავლით კატეხიზმოს ბავშვებს (ქართულ, რუსულ და ინგლისურ ჯგუფში); ვზრუნავთ ინდოელ და აფრიკელ სტუდენტებზე კატეხიზმოსა და პირადი საუბრების მეშვეობით; ვეხმარებით ღარიბ ოჯახებს, ვუნაწილებთ საკვებსა და ტანსაცმელს. ჩვენს საკრებულოში ვართ ექვსი და **(და მარი მანუელი, და მ. მიკე, და სანდიპა, და ანჯელინა, და იმელდა კრისტი, და აუშრა მარია)**. ვხედავთ, რომ იმედი ინთება ღარიბთა გულებში, არა „უკეთესი“ მომავლისათვის პროექტების შემუშავებით, არამედ ყოველ-



დღიურად მათდამი სიყვარულით სავსე მსახურებით. სიყვარულის მცირე ქმედებები, რომლებიც მათ ღიმილსა და სიხარულს ჰგვრის, არის მარტივი ნიშნები იმისა, რომ იმედი იბადება მათ გულებში. ბავშვები, რომლებიც მოდიან კატეხიზაციაზე, უბრალოდ, ბედნიერები არიან, რომ თავს გრძნობენ, როგორც სახლში და სწავლობენ იესოს შესახებ. მხოლოდ ის ფაქტი, რომ ისინი მოდიან გაკვეთილზე, უკვე მეტყველებს მათ იმედზე.

და ბოლოს: უცხოელი ახალგაზრდა სტუდენტები, რომლებსაც სურთ მეტი შეიტყონ რწმენის შესახებ, რომელთაც სწყურიათ ცოცხალი ურთიერთობა იესოსთან, რომლებიც იჩიქებენ იესოს წინაშე ღამისთევის დროს წმიდა ზიარების თავიანთი ცემისას, რომლებიც მონაწილეობენ სულიერ წრთვებში და ფეხით მიდიან რუსთავეში მომლოცველობისას... **განა ეს არ არის იმედის საოცარი ნიშნები?** განა მათი ღიმილი არ არის იმედის საუკეთესო ქადაგებები ამ ბნელსა და ცოდვით სავსე სამყაროში? ჩვენ გვაქვს იმედი!



და დოროტა ვორსოვიჩი და ანა გრეტკირევიჩი თბილისში ემსახურებიან ლათინური წესის კათოლიკეებს, ხოლო **და სუსანა ელაზიანი, და რიფსიმე ხაჩატურიანი და და ჰორომსიმა ხაჩატურიანი** ახალქალაქის რაიონის სოფელ ტურცხში ემსახურებიან სომხურ კათოლიკურ თემს, ვმუშაობთ საერო პირებთან ერთად, ინტეგრირებული და პრევენციული განათლების მიზნით. ვიმედოვნებთ, რომ ადრეული ასაკიდან აღმზრდელითი ზრუნვა მათ ასწავლის ცხოვრებისეული სირთულეების გადალახვას, რომელსაც ისინი აწყდებიან. ყოველდღიურად ვგრძნობთ დიალოგის საჭიროებას, კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემას, რათა ყოველივე ამან ხელი შეუწყოს სავსე და კონსტრუქციული ურთიერთობების დამყარებას.

ბენედიქტელები

ვუბასუხეთ უფლის მოწოდებას, ჩვენი დამაარსებელი მამის, ბენედიქტე ნურსელის (დაბ. 480 წელს) მაგალითისამებრ და თანხმობა განვაცხადეთ საზღვარგარეთ მეორე ჩაკეტილი მონასტრის გახსნაზე. სლოვაკეთის შემდეგ საქართველო იქცა ჩვენს სამიზნედ. 2008 წლის აპრილში ჩამოვედით საქართველოში და დავმკვიდრდით სამხრეთ რეგიონში, კერძოდ, ახალციხის ზემო უბანში, რაბათში. ამჟამად



სალეჯალ დათა კონგრეგაცია

ჩვენ ვართ ქრისტიანთა შემწე მარიამის ქალიშვილები, მთელ მსოფლიოში ცნობილნი, როგორც სალეჯელი დები; კონგრეგაციის დამაარსებელი არიან წმ. იოანე ბოსკო და წმ. მარია დომენიკა მაცარელი. ჩვენ ცხოვრება ღმერთს შევწირეთ, რათა იესო ქრისტეს ვემსახუროთ და ვიზრუნოთ ახალგაზრდების ჰუმანურ და ქრისტიანულ აღზრდა-განათლებაზე.

საქართველოში 1997 წლიდან ვიმყოფებით. თბილისში ვემსახურებით ლათინური წესის კათოლიკეებს, ხოლო ახალქალაქის რაიონის სოფელ ტურცხში - სომხურ კათოლიკურ თემს. ამჟამად ვართ ექვსი მონაზონი ამჟამად ვართ ექვსი მონაზონი ორ საკრეულოში: და **სილვა ალბერტინი**,

მად მონასტერში ორი მონაზონია (**დედა მარია გრაცია, წინამძღვარი; და მარია მათილდა დანიელი**), ჩვენი მესამე და, **მარიამ იესო მარჩელი**, გასული წლის ნოემბრის თვეში ზეცად ავიდა. რაც შეეხება ჩვენს საქმიანობას, ყოველდღიურად ვმონაწილეობთ ეკლესიის მიერ დაკისრებულ ლოცვით მსახურებაში (Lectio divina), ვმასპინძლობთ სტუმრებს. ჩვენ თავად „ვიგონებთ“ სამუშაოს: ვანარმოებთ მალამოებს, საბნებს, სავარდებს, მოხატულ სანთლებსა და ხატებს. ჩვენი აქ ყოფნის განმავლობაში გაჭირვების, ტანჯვის, ყველანაირი სირთულის, გულგატეხილობის წუთებიც განგვიცდია, „*მაგრამ ყოველივე ამას ვძლევთ ჩვენი მოყვარულის მეშვეობით*“ (რომ. 8, 37) - უფალ იესოს მიერ.

იმედის ნიშანია ჩვენი სამონასტრო ცხოვრება საქართველოში; ეს თესლია: თუმცა, ყოველ დღე ნელ-ნელა კვდება, მაგრამ ნაყოფი მოაქვს ცათა სასუფეველის გასავრცელებლად, ღმერთის სადიდებლად.

დედა მარია გრაცია პულიზი, წინამძღვარი, OSB (ბენედიქტელ დედათა ორდენი) და მონაზვნები.

წმიდა ნინოს კონგრეგაცია

წმიდა ნინოს კონგრეგაციის დამფუძნებელია დედა ანე-ვიქტუარე ტაიერი, დაბადებული 1763 წლის 11 მაისს, დისტროფში, ჩრდილო-აღმოსავლეთ საფრანგეთში. იგი ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა ღვთისმოსაობით და ქველმოქმედების სურვილით. 1786 წელს დაქორწინდა ალექსის დე მეჟანზე. წყვილს შვილი არ შეეძინა. რევოლუციის პერიოდში, პენსიაზე მყოფებ-

მა, საკუთარ სახლში ჩამოაყალიბეს გულმონყალეთა საზოგადოება, სადაც იკრიბებოდნენ მორწმუნენი, ლოცულობდნენ, ქალებს ასწავლიდნენ სხვადასხვა ხელსაქმეს, ხოლო მამაკაცებს - ავადმყოფთა მკურნალობას. აქვე აღესრულებოდა წირვა-ლოცვა. 1801 წელს, ალექსი დე მეჟანეს გარდაცვალების შემდეგ, საკრებულო განაგრძობდა სულიერ გზას და ქველმოქმედებას. 1807 წელს ეპარქიის ეპისკოპოსმა საზოგადოების მფარველად წმიდა ნინო, ქრისტიანე, გამოაცხადა. დედა ანე-ვიქტუარე ამ ორდენის პირველი გენერალი გახდა. კონგრეგაციის დაარსების შემდეგ, მან და მისმა ორმა მონაზონმა ერთად გახსნეს სკოლა ღარიბი ბავშვებისათვის და ასწავლიდნენ კატეხიზმოს. ანე-ვიქტუარე გარდაიცვალა 1837 წელს.

2007 წელს საქართველოში ჩამოვედით სამი და (**და მარი ნოელი, და ჟიზელი, და პასკალინა**), რათა უკეთ გაგვეცნო ჩვენი კონგრეგაციის მფარველი, წმიდა ნინო, გაგვეგრძელებინა ევანგელიზაციის მისია ჩვენი დამფუძნებლის, ანე-ვიქტუარესაგან მემკვიდრეობით მიღებული ქარიზმის მეშვეობით. კონგრეგაციის სამივე წევრი ჩართული ვართ საზოგადოებრივ საქმიანობასა და საეკლესიო ცხოვრებაში; ვგალობთ გუნდში, ვმონაწილეობთ ეკლესიის დალაგება-დასუფთავებაში, ვმუშაობთ შეზღუდული შესაძლებლების მქონე პირთა ცენტრში. ახალციხის საკრებულოში, ჩვენი ჩამოსვლის დღიდან, დაარსდა ასევე ჯგუფი წმიდა ნინოს დების მეგობრები, სადაც გაერთიანებულია თორმეტი ადამიანი. ჯგუფის წევრები იკრიბებიან თვეში ერთხელ და განიხილავენ სხვადასხვა საკითხს, ბიბლიიდან კითხულობენ სხვადასხვა მონაკვეთს.

იმედის გამოცდილების მაგალითი: ბენეფიციარი, რომელსაც არ ჰყავს მამა ან დედა, ხშირად სტუმრობს ჩვენთან, იმ იმედით, რომ დავეხმარებით და ყველანაირ საკითხს მოვუგვარებთ. ყოველი ვიზიტის შემდეგ იგი ბედნიერი ბრუნდება სახლში. გვჯერა, რომ ჩვენი ყოფნა ეხმარება მას იცხოვროს იმ იმედით, რომ არსებობენ წმიდა ნინოს დები, რომლებიც ყოველთვის მზად არიან მის მოსასმენად.

წმიდა ელისაბედის დების კონგრეგაცია

წმიდა ელისაბედის დების კონგრეგაცია დაარსდა 1842 წლის 27 სექტემბერს პოლონეთში, კერძოდ, ქალაქ ნისაში. კონგრეგაციის მისიაა ღვთის შემწეობით გაჭირვებული ადამიანების დახმარება. ჩვენმა დამფუძნებელმა, მარია ლუიზა მერ-





კეტმა, თქვა: „ვაკეთოთ სიკეთე სხვებისთვის, შევიყვაროთ ისინი უფალში, და თუ არაფრის გაკეთება არ შეგვიძლია, მაშინ ვილოცოთ მათთვის“. ჩვენ, წმიდა ელისაბედის სამი და (და ბერნარდა ბალტრუკოვიჩი, და დავიდა ოლევიჩი, და მონიკა მაჩინსკა), საქართველოში 2006 წელს ჩამოვედით. ვმუშაობთ საქველმოქმედო ფონდ „საქართველოს კარიტასში“. თუ უფალი მოგვცემს სიყვარულსა და ძალას, ჩვენი ყოფნა სხვა ადამიანებისთვის იქნება იმედი.

მცირე კმაჯი კაპუცინეზი

ჩვენი დამაარსებელია წმიდა ფრანცისკე ასიზელი (1181/1182-1226), რომელსაც სურდა ეცხოვრა სახარების მიხედვით, როგორც ცხოვრობდნენ იესო ქრისტე და მისი მოწაფეები. კაპუცინთა ორდენი შეიქმნა მეთექვსმეტე საუკუნის პირველ ნახევარში ფრანცისკელთა ორდენის განშტოების სახით. ჩვენი ორდენის წევრებმა სახელწოდება მიიღეს ანაფორაზე მიკერებული უხეში მაუდის წვეტიანი კაპიუშონის გამო. იტალიელი ხალხი გვიწოდებდა კაპუცინებს, ანუ ძმებს გრძელი ქუდით.

კაპუცინები საქართველოში პირველად 1663 წელს ჩავიდნენ და მოინახულეს თბილისი, გორი,

ქუთაისი და ახალციხე. 1845 წელს რუსეთის მეფემ გაგვადევა და ძმები მალე დაბრუნების იმედით თურქეთში წავიდნენ. სამწუხაროდ, იმ თაობას არასოდეს უნახავს კაპუცინების დაბრუნება საქართველოში. ეს დაბრუნება მხოლოდ 2013 წელს მოხერხდა, როდესაც ჩვენი ეპისკოპოსის, **მეუფე ჯუზეპე პაზოტოს** მოწვევით დაბრუნდით იმ ქვეყანაში, რომელიც, გადმოცემის მიხედვით, ღმერთმა თავად აირჩია. ამჟამად ორნი ვართ, პოლონელები, **ძმა იაცეკ სემეინაკი** და **ძმა მარეკ პრუჩევსკი**. ჩვენი ცხოვრების წესი მარტივია: მივიღვართ იქ, სადაც არავის, ან ცოტას თუ სურს წასვლა, და სამსახური ხალხისა, ვინც ქრისტეს სახარების გამოცხადებას ელის. ჩვენ ვცდილობთ ვემსახუროთ ახალციხელებსა და ივლიტელებს. **ჩვენი იმედი** ისაა, რომ ჩვენს აქ ყოფნას აზრი აქვს, რომ კათოლიკეთა ყოფნა საქართველოში არ გაქრება, რომ კათოლიკე ეკლესია საქართველოში შეძლებს განაგრძოს თავისი ევანგელური მისია ქართველი ხალხისათვის. „იმედი ბოლოს კვდება“, - ამბობს ძველი იტალიური ანდაზა. იმედი გვაძლევს საშუალებას გავაკეთოთ, უპირველეს ყოვლისა, ის, რაც შესაძლებელია. შემდეგ, გვაძლევს ძალას, გავაკეთოთ ყველაფერი, უბრალოდ, არ ვიყოთ უსაქმოდ, ანუ არ დავნებდეთ. და ბოლოს, იმედი გვაძლევს საშუალებას, გავაკეთოთ შეუძლებელი. ხორბლის მარცვალი მცირეა და, ერთი შეხედვით, სუსტი, უძალი. მაგრამ, ღვთის წყალობით, ეს პატარა მარცვალი ნაყოფს იძლევა: ოცდაათს, სამოცს, ასს...



ეკუმენური ლოცვა - 2025

ნუგზარ ბარდაველიძე



24 იანვარს ქრისტიანთა ერთიანობის ლოცვას საქართველოში სომეხთა სამოციქულო ეკლესიის საკათედრო ტაძარმა უმასპინძლა. ლოცვაში, ტრადიციულად, მონაწილეობდნენ ეპისკოპოსები, მღვდელმსახურები, საკათედრო ტაძრების მგალობელთა გუნდები ოთხი ეკლესიიდან და ის მორწმუნეები, რომლებიც გულითადად იზიარებენ ქრისტიანთა ერთობას. ლოცვაში პირველად მონაწილეობდა წმიდა საყდრის დესპანი საქართველოსა და სომხეთში, არქიეპისკოპოსი ანტე იოზიჩი. წლევანდელი ეკუმენური ლოცვა გამორჩეულია, რადგან წელს სრულდება 1700 წელი ნიკეის პირველი საეკლესიო კრებიდან, რომელიც უმნიშვნელოვანესია მთელი ქრისტიანული სამყაროსათვის, რადგან ამ კრებამ ქრისტიანულ ეკლესიას ერთიანი ორგანიზაციული სახე შესძინა და ის იმჟამინდელ სამყაროში არსებული ადგილობრივი ეკლესიების გამაერთიანებლად მოიაზრებოდა. ჩვენთვის მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ ნიკეის მსოფლიო კრებაში მონაწილეობდა ბიჭვინთის საეპისკოპოსო კათედრის მმართველი სტრატოფილე.

ეკუმენური ლოცვის დასრულების შემდგომ, მონაწილეებს ვთხოვეთ, გაეზიარებინათ თავიანთი მოსაზრება; გათავაზობთ მცირე ამონარიდს ამ საუბრებიდან:

ეპისკოპოსი კირაკოს დავთიანი - სომეხთა სამოციქულო ეკლესიის მღვდელმთავარი საქართველოში: დიდად სასიხარულოა, როდესაც

ლოცულობ სხვადასხვა ქრისტიანული ეკლესიის წარმომადგენლებთან ერთად, მით უმეტეს, რომ ამ ლოცვის თემა იყო რწმენა ქრისტესადმი. დაე, დღევანდელი ლოცვა გახდეს რწმენის უფრო გაღრმავების საფუძველი ნებისმიერი ადამიანისათვის, რომელიც ცხოვრობს ჩვენს ქვეყანაში. ნიკეის პირველი მსოფლიო კრება არის ჩვენი ერთიანი ქრისტიანული კანონების საფუძველი. ეს ძალიან მნიშვნელოვანი თარიღია, რომელიც უნდა გვახსოვდეს ყოველთვის და არა მხოლოდ საიუბილეო წელს, და მუდამ უნდა ვიყოთ ქრისტიანული კანონების მორჩილნი.

არქიეპისკოპოსი ანტე იოზიჩი - წმიდა საყდრის დესპანი საქართველოსა და სომხეთში: მე პირველად ვმონაწილეობ საქართველოში ქრისტიანთა ერთიანობის ლოცვაში. ქრისტიანები ყველანი ძმები არიან, აღიარებენ ერთიან რწმენას ქრისტეში; ქრისტემ შექმნა ეკლესია და ვიცით, რომ ადამიანებმა გაყვეს იგი, მაგრამ ეს ლოცვა აღევლენება ყოველწლიურად ამ დროს, როგორც ხატება ერთიანობისა არა მხოლოდ ლოცვაში, არამედ საქმიანობაში. ამიტომ ის ეხმარება ყველას, რათა გახსნან გულები. ვილოცეთ და სულით მივიღეთ ეს ერთიანობა, როგორც მცდელობა, უარი ვთქვათ იმაზე, რაც გვაშორებს ერთმანეთს, და დავახლოვდეთ იმაში, რაც გვაერთიანებს. ამიტომ მიხარია, როდესაც ვხედავ, რომ სხვადასხვა ქრისტიანული კონფესიის წარმომადგენლები მონაწილეობენ და ლოცულობენ ერთიანობის კვირეულში, რაც ნიშანია იმისა, რომ ჩვენ მივიღვართ ეკლესიის ერთიანობისაკენ. ეკლესია მოციქულების მემკვიდრეობით მოგვინოდებს, რომ ვიყოთ ერთი ეკლესია, ერთი სამწყსო, რომელიც აღიარებს ქრისტეს. ვიმედოვნებ, რომ დღევანდელი ლოცვა კარგი მაგალითი იქნება ყველასათვის. ბელარუსში, სადაც დესპანად ვმსახურებდი, მონაწილეობას ვიღებდი ერთიანობის ლოცვაში, რომელშიც ყველა კონფესიის წარმომადგენელი მონაწილეობს, მათ შორის, მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმსახურები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მოსკოვის საპატრიარქოს ექვემდებარებიან. იმედი მაქვს, რომ ქრისტიანთა ამგვარი ერთიანობა ყველგან დამყარდება.





სოციალური კეთილდღეობის ლაბორინთები

„ინერ ჯორჯიას“ მრავალწლიანი სამუშაო გამოცდილება კიდევ ერთხელ გვარწმუნებს ქვეყანაში ძლიერი საოჯახო პოლიტიკის აუცილებელ საჭიროებაზე. მიუხედავად სახელმწიფო თუ მუნიციპალური დახმარებებისა, შეჭირვებულ ოჯახთა უმეტესობა ყოველდღიურად ცდილობს, ეძებოს თავის გადარჩენის ალტერნატიული გზები. საქართველოსთვის კვლავ დიდი გამოწვევაა ბავშვთა სიღარიბე. ბავშვის უფლებათა კონვენციის თანახმად, სახელმწიფოს ვეალება, უზრუნველყოს ბავშვებისთვის ღირსეული ცხოვრების პირობები, იზრუნოს მათზე, შეიმუშაოს ოჯახის მხარდაჭერი პროგრამა, რომელიც არ უნდა იყოს ერთგვრადი, უნდა გამომდინარეობდეს ოჯახის საჭიროებების შესწავლიდან, ოჯახის გასაძლიერებლად.

უფასოდ განეული სამედიცინო კონსულტაცია და რეცეპტი არ იძლევა წამლის შეძენის გარანტიას, დღესასწაულებზე დარიგებული ნობათი კი მხოლოდ საუკეთესო დღეების მოგონებად რჩება. სოციალური დახმარების თანხა კი, უმრავლეს შემთხვევაში, ბინის ქირისა და კომუნალურების გადასახდელად თუ კმარა. დიდ ქალაქებში უკეთესი მუნიციპალური დახმარების მძებნელი ოჯახები დიდ ნაკადად, გარკვეული საერთო სქემით, ტოვებენ მშობლიურ ეზო-კარს და ქალაქის ხიზნები ხდებიან. ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიის არქონა, დაბალი ანაზღაურება და ხშირად დარღვეული ხელშეკრულებები, აიძულებთ მათ მძიმე სტრესულ პირობებში ცხოვრებას, პასუხისმგებლობის მოხსნას და ოჯახის დანგრევას. შვილების მოვლას დედები ტვირთულობენ, ერთმანეთისგან სწავლობენ და ცდილობენ, სხვადასხვა ორგანიზაციის დახმარებით, წამიერი სიხარული მაინც შეიტანონ ყოველდღიურ დაძაბულ ყოფაში. პატარებს ბევრი რამ აკლიათ, ან საერთოდ არა აქვთ, სკოლაში ესაუბრებიან სიკეთეზე, თანასწორობაზე, თანაბარ უფლებებზე; ისმენენ და ხშირად ვერ იგებენ, თუმცა, გარკვეულ ასაკამდე მაინც არ აპროტესტებენ, ეცოდებათ დედა, ბოლო ლუკმას უმცროს დაძმას უყოფენ და, ყველაფერს მონატრებულნი, ღამით უჩუმრად მხოლოდ ცრემლს ყლაპავენ.

და აქ მთავრდება ილუზიები თანასწორობასა და ღირსებაზე. აცნობიერებენ, რომ მათ ცხოვრებას სწორედ მლაშე ცრემლის გემო აქვს და ძალიან შორსაა ნაოცნებარი, ღამაში ზღაპრისგან, თუნდაც ეს ზღაპარი საშობაო იყოს...

ჩვენი არსებობის 22-წლიანმა ისტორიამ ბევრი რამ დაგვანახა, ბევრჯერ მოგვადოებულ წრეზეც გვივლია, თაობებსაც შევხვედრივართ, მსგავს გზას რომ გადიან. სოციალური და კულტურული გარიყულობა, სოციალური უნარებისა და კულტურული კომპეტენციის ნაკლებობა, ნებისმიერი სახის ძალადობა და უგულებელყოფა და ა. შ. ხშირად სათავეს იღებენ ადამიანის საოჯახო ან სხვა სოციალური გარემოდან, ან ადამიანის ადრინდელი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან. ბავშვის განვითარებაზე ყველაზე მეტად მოქმედებს მშობლების განათლების ფაქტორი. ამიტომ ყოვლად აუცილებელია მშობლებთან გონებრივ უნარებზე მუშაობა. ამ მიზანს ემსახურება ჩვენი ცენტრის მუდმივი პროგრამა „მშობელთა სკოლა“, რომელსაც ინერ-ჯორჯიას დაარსების დღიდან (2002წ.) ვახორციელებთ. საზოგადოებაში მომრავლებულ სოციალურ პრობლემათა ადეკვატურად მოსაგვარებლად მრავალი გზა არსებობს, მათ შორის, ადამიანთა ცნობიერების შეცვლა. სიღარიბე და განათლების ნაკლებობა კიდევ ერთი მაგალითია იმისა, როგორ მოქმედებს ცხოვრების უწინდელი (არა აუცილებლად ბავშვობის დროინდელი) პირობები და ადრე გაკეთებული არჩევანი ადამიანის ცხოვრების შემდგომ ეტაპებზე. რა თქმა უნდა, გადამწყვეტი ან განმეორებადი გარემოებების, ან გამოცდილების ნეგატიური გავლენა იწვევს „დომინოს ნეგატიურ ეფექტს“ ადამიანის ცხოვრებაში, მაგრამ კარგი ამბავი არის ის, რომ გადამწყვეტი ან განმეორებადი პოზიტიური გარემოება, ან გამოცდილება გამოიწვევს „დომინოს პოზიტიურ ეფექტს“.

ვისურვოთ, რომ სწორი საოჯახო პოლიტიკა, ბავშვთა უფლებებზე ზრუნვა და სიცოცხლისადმი გახსნილი მიმდებლობა, გაგვიმრავლებს ბავშვთა ღიმილიან სახეებს და რა ბედნიერებაა, როცა ამ ღიმილში შენი მცირედი წვლილიცაა!

ნინო ჟღინტი

ურყევი რწმენა და მითვისებული ტაძარი: კათოლიკეთა გამოწვევები საქართველოში

თაკო გაქროშვილი

კათოლიკეები საუკუნეთა განმავლობაში მრავალი გამოწვევის წინაშე იდგნენ, თუმცა რწმენა და ერთგულება მათი ცხოვრების მთავარ საყრდენად რჩებოდა. დღევანდელი რეალობაც გვიჩვენებს, რომ მიუხედავად ისტორიული ტოლერანტობის იდეებისა, ცალკეული მოვლენები კვლავ აჩენს კითხვებს ურთიერთპატივისცემისა და რწმენის თავისუფლების შესახებ.

8 დეკემბერს ქუთაისის კათოლიკური სამრევლო ყოვლადწმიდა ქალწული მარიამის უბინოდ ჩასახვის დღესასწაულს აღნიშნავდა. წმიდა წირვაში მონაწილეობა მიიღეს სტუმრად ჩამოსულმა ახალგაზრდებმა, რომლებიც თბილისის წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა კათოლიკური ეკლესიის წევრები არიან. შემდგომ ისინი ეწვივნენ ქუთაისის ღვთისმშობლის უმანკოდ ჩასახვის ტაძარს, რომელიც დღეს მართლმადიდებელთა ხელშია, თუმცა მათი ვიზიტი მოულოდნელი დაბრკოლებით დასრულდა. მართლმადიდებელი სასულიერო პირის მითითებით, ტაძარი კათოლიკე ახალგაზრდების ჯგუფისთვის ჩაიკეტა. ეს ქმედება არაერთმა ახალგაზრდამ აღიქვა არა მხოლოდ როგორც ხელის შეშლა, არამედ მათი რწმენისა და უფლებების შეზღუდვა.

კათოლიკური სამრევლოს მემკვიდრეობა

კათოლიკე მრევლის ისტორია ქუთაისში XVII საუკუნიდან იწყება. იმერეთის მეფე ალექსანდრე

III-ის დროს თეატინელ მისიონერებს წმიდა სოფიას ეკლესია გადაეცათ, ხოლო მოგვიანებით, მეფე სოლომონ II-მ ახალციხიდან ქართველი კათოლიკე ვაჭრები გადმოასახლა. XIX საუკუნეში ქუთაისში კათოლიკე მრევლის რაოდენობა გაიზარდა, და 1819 წელს რიონის მარცხენა სანაპიროზე ახალი ქვის ტაძრის მშენებლობა დაიწყო. 1862 წელს დასრულებული ტაძარი კათოლიკური საზოგადოების სიამაყედ იქცა, თუმცა, დროთა განმავლობაში, ისტორიულმა ცვლილებებმა ის მართლმადიდებელი ეკლესიის ხელში მოაქცია.

ინციდენტი და დღევანდელი რეალობა

8 დეკემბრის ინციდენტი ერთდროულად ინვესტაციას და კითხვებს. რატომ უნდა დაკეტილიყო ახალგაზრდების ჯგუფისთვის ტაძარი, რომელიც მემკვიდრეობით კათოლიკეებს ეკუთვნით? თუმცა, ეს ამბავი მხოლოდ ერთი ეპიზოდია იმ მრავალრიცხოვან სირთულეს შორის, რასაც კათოლიკეები განიცდიან დღეს საქართველოში. მსგავსი შემთხვევები არა მარტო კათოლიკეებისთვის, არამედ მთელი ქვეყნისთვის შეხსენებაა, რომ ტოლერანტობა და პატივისცემა არ არის მხოლოდ ისტორიული იდეა, ეს არის ყოველდღიური არჩევანი, რომელსაც თითოეული ჩვენგანი აკეთებს.

დასკვნა:

ქუთაისის ტაძრების ისტორია ნათლად აჩვენებს, რამდენად მჭიდროდაა გადაჯაჭვული ქართული ქრისტიანული ტრადიციები თავისი მრავალფეროვნებით. კათოლიკეებისა და მართლმადიდებლების ურთიერთობა შესაძლოა ყოველთვის არ იყო სასურველი, მაგრამ ქრისტიანობის ძირითადი პრინციპი - სიყვარული და პატიება უნდა იყოს ჩვენი საერთო მიზანი. როდესაც მომავალ თაობას ვასწავლით ჩვენი ქვეყნის ისტორიისა და კულტურის შესახებ, მნიშვნელოვანია, ხაზგასმით აღვნიშნოთ არა მხოლოდ ის განსხვავებები, რაც არსებობს ჩვენ შორის, არამედ ის საერთო საფუძვლები, რაც გვაერთიანებს - რწმენა და ღვთისმოსაობა. დაე, 8 დეკემბრის ინციდენტი გახდეს შესაძლებლობა დიალოგისა და თანხმობისა, რათა მომავალში წარსულის კარის ჩაკეტვა აღარ გახდეს ჩვენი ტრადიციის ნაწილი.



იხილეთ სსიპ-ის ნათლისქრობისას

ანა მოგილაშვილი

XX საუკუნის 20-30-იანი წლები საქართველოში საბჭოთა სისტემის დამკვიდრების პერიოდია. რუსეთმა ქართველთა ეროვნული მოძრაობა სისხლში ჩაახშო, რის შემდეგაც სამოცდაათწლიანი სისტემური წნეხი დაიწყო, რამაც ჩვენს ქვეყანაში არასტაბილური პოლიტიკური და მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ვითარება გამოიწვია. საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ტრაგიკული ეპოქა არაერთი ქართველი მწერლის შემოქმედებაში ასახა. მათ შორის ერთ-ერთი გურამ გეგეშიძეა. მისი რომანები საქართველოში მიმდინარე ისტორიული პროცესების რამდენიმე მონაკვეთს ასახავს.

ჩვენ მიერ განსახილველ რომან „ნათლისქრობაში“ მოვლენები 1956 წლის 9 მარტიდან 90-იანი წლების სამოქალაქო ომის ჩათვლით ვითარდება. მთავარ გმირად გიორგი უნდილაძე გვევლინება, რომლის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ფონად გასდევს საქართველოს უახლეს ისტორიაში განვითარებული მოვლენები და, თავისდაუნებურად, რომანის მთავარი პერსონაჟის ცხოვრების გეზს განსაზღვრავს. გიორგისა და მწერლის ეროვნული სულისკვეთების გამოსახატავად რომანის ძალიან მნიშვნელოვან ეპიზოდად შემდეგს მივიჩნევ: როდესაც გიორგი მეგობრებთან ერთად ფიცს დადებს შიომღვიმის მონასტერში, რომ რაღაც არ უნდა დაუჯდეს, ბოლომდე მიიყვანს ბრძოლას საქართველოს თავისუფლებისათვის. ნიშანდობლივია, რომ 1924 წელს, ქაქუცა ჩოლოყაშვილის „შეფიცულთა რაზმის“ წევრებმაც სწორედ შიომღვიმის მონასტერში დადეს ამგვარი ფიცი, მათი შეთქმულება კი, როგორც ისტორიიდანაც ცნობილი, ტრაგიკულად დასრულდა. ამის გათვალისწინებით, ბუნებრივია, შიომღვიმის მონასტერში ფიცის დადება ნეგატიურ მოლოდინს უღვიძებს მკითხველს. გიორგის ცხოვრება ისეთივე დრამატული და



ქაოსურია, როგორც თავად ეპოქა. ტრაგიკულია იმის გაცნობიერება, რომ გიორგის გარდა ყველა პერსონაჟი იღუპება რომანში. ვფიქრობ, მათი სიკვდილი მწერლის შემდეგი ნააზრვეის განსხეულებას ემსახურება: სისხლიან და ღალატთან ხანაში ვერ ცოცხლობს სუფთა და ხალასი სული. ეპოქის სიბინძურე წამლავს ყოველივე ლამაზსა და წმინდას.

რომანში საგანგებოდ აქცენტირებულია საბჭოთა კავშირის მიერ რუსული ენის გაბატონების მზაკვრული პოლიტიკა. საგულისხმოა მწერლის პოზიცია რუსის ჯართან დაკავშირებითაც. იგი შენიშნავს, რომ ეს სისტემა მონობასა და ტირანიაზე იყო დამყარებული, სადაც ჩინით უმცროსი ჩინით უფროსის მონად ქცეულიყო, ხოლო თავისზე დაბალი ჩინისთვის - სულთამხუთავად. გურამ გეგეშიძე ამ მოვლენას რუსების დაბალი ინტელექტითა და ბატონყმური ფსიქიკით ხსნის.

რომანის ანალიზისას აშკარად იკვეთება გიორგის სულიერი კრიზისის ნიშნები, რაც, ვფიქრობ, ეპოქის სიძნელით არის განპირობებული. „ნათლისქრობის“ მთავარი პერსონაჟი უდავოდ ამჟღავნებს სულიერ სიახლოვეს კონსტანტინე გამსახურდისა თუ გრიგოლ რობაქიძის მიერ შექმნილ, ეგრეთ წოდებულ გაუცხოებულ გმირებთან. თარაშ ემხვარისა და კონსტანტინე სავარსამიძის მსგავსად, გიორგი უნდილაძეც ტრაგიკული საუკუნის, დარღვეული, გამრუდებული ეპოქის მსხვერპლია. ის ნაწარმოების მსვლელობისას რამდენჯერმე იმეორებს სიტყვებს: „რა ეშველება ამ ჩვენს საცოდავ ქვეყანას?“ ადვილი მისახვედრია, რომ ეს თავად მწერლის სიტყვებია. ეპოქის გათვალისწინებით, ისიც აღარ გვიკვირს, რომ თავად გიორგიმ, უამრავი მცდელობისა და თავდაუზოგავი გარჯის შემდეგ, ვერ შეძლო ქვეყნისთვის რაიმე სასიკეთო საქმის გაკეთება. უფრო მეტიც, მან საკუთარი პირადი ცხოვრების მოწყობაც კი ვერ მოახერხა, რაც გაუკუღმართებული დროების კიდევ ერთი ტრაგიკული გამოძახილია. ვფიქრობ, გიორგის ბედი ავტორმა დასაწყისიდანვე მისი გენეტიკით განსაზღვრა. გიორგის არ ჰქონდა „ეროვნული შტოს“ წვეთი სისხლიც კი, ის „ანტიეროვნული შტოს“ გვარსა და მემკვირდეობას ატარებდა. დედის მხრიდან რამდენიმე ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალული ნათესავი კი საკმარისი არ აღმოჩნდა, რომ რომან „ნათლისქრობის“ მთავარ პერსონაჟს მოცემულ მსახვრალ ეპოქაში იმ დიადი იდეის აღსრულება მოეხერხებინა, რისი განხორციელებაც თავის დროზე

ყაფლან, ნესტორ და ჯამბაკურ ვარდანიძეებმა, მისმა დიდებულმა წინაპრებმა, ვერ შეძლეს.

ზემოთ მოხმობილი რიტორიკული შეკითხვის „რა ეშველება ამ ჩვენს საცოდავ ქვეყანას?“ პასუხად კი, ვფიქრობ, თხზულების დასასრულს გიორგის გარდაცვლილი ძმის უკანონო შვილის, ნათელას დაბადება უნდა მივიჩნიოთ, გოგონასი, რომელიც იმედის მკრთალ სხივად ჩნდება ეროვნული ნათლისქრობისას. მისი სახელის სემანტიკაც ამაზე მეტყველებს. მწერალი გვიტოვებს მოლოდინს: იქნებ, ეს პატარა გოგონა იქცეს ყველა იმ განუხორციელებელი იმედისა და ოცნების ახდენის შემოქმედად, რაც მისი ბიძისათვის, დაუცხრომელი სურვილის მიუხედავად, მიუღწეველი აღმოჩნდა.

დასასრულს, ლიტერატურული რეპრეზენტაციის ნიმუშს მოვიხმობ რომანიდან: „დიდებული ქვეყანა გვარგუნა ღმერთმა, ჩვენი თავი ჩვენვე რომ გვეკუთვნოდეს, რა გვიჭირს“. ამ სიტყვებს ნაწარმოების ერთ-ერთი პერსონაჟი, ყარამანი, ამბობს და მკითხველის ცნობიერების ზედაპირზე მყისიერად ამოტივტივდება ილიას „მგზავრის წერილების“ პერსონაჟის, მოხვევე ლელთ ლუნისა სიტყვები „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდვენესო“!

ვფიქრობ, სწორედ ეს არის ნაწარმოების მთავარი სათქმელიც და ავტორის დიდი საწუხარიც. ზოგადად, გურამ გეგეშიძის ისტორიული ხასიათის პროზის ანალიზისას, არაერთგზის აშკარავდება მისი ნატვრა რუსეთისაგან თავისუფალი საქართველოს ხილვისა. ეს საუკუნეებს გადმონვდენილი სატიკვარი დღევანდელი საქართველოსთვის განსაკუთრებით აქტუალურია. ჩვენი ქვეყანა კიდევ ერთხელ დგას გზაგასაყარზე რუსულ ჩექმასა და ევროპულ მომავალს შორის. ჩემი აზრით, ამჟამად „ნათლისქრობის“ თემატიკის თხზულებებზე მსჯელობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რათა ქართულმა საზოგადოებამ ერთხელ და სამუდამოდ გააცნობიეროს ერთმორწმუნე ძმის „წყალობით“ თავს გადახდენილი ყველა უბედურება და საბოლოოდ ნათელ აზრსა და ქმედებას გაუხსნას გზა საკუთარი თავისა და საკუთარი შვილების საკეთილდღეოდ.



კათოლიკობა ინგლისში

მარბარიტა იუხანოვა

2024 წლის აპრილში მე ვესტუმრე ინგლისის ჩრდილოეთს, სტონიჰერსტს (Stonyhurst), სადაც ორი თვე დავყავი. აქ დახვეულ საავტომობილო გზას მიჰყავხართ, რომლის ორივე მხარეს მაღალი, მწვანე ბუჩქნარი სქელ კედლადაა აღმართული. ეს თვალწარმტაცი ადგილია, ველური ბუნების ნამდვილი სამოთხე; დღესდღეობით კერძო, დაცული ტერიტორიაა, სადაც მდებარეობს ერთ-ერთი პრესტიჟული კათოლიკური სკოლა, სტონიჰერსტის კოლეჯი (Stonyhurst College), 13-დან 18 წლამდე ასაკის მოსწავლეთათვის. აქვე ფუნქციონირებს მოსამზადებელი სკოლა სენტ-მერის ჰოლი (St. Mary's Hall), რომელიც განკუთვნილია 3-13 წლამდე ასაკის გოგო-ბიჭებისათვის. მამულისა და თავად კოლეჯის ისტორია მოგვითხრობს ინგლისში კათოლიკობის მძიმე ხვედრზე. ქრისტიანობის მიღებასთან ერთად, ინგლისი ხდება კათოლიკური სახელმწიფო, აქ მრავალი უნიკალური კათოლიკური ნაგებობა შენდება: ტაძრები, ეკლესიები, მონასტრები. საუკუნეთა განმავლობაში, უდიდესი მხატვრები, მოქანდაკეები და არქიტექტორები, რწმენის ძალით შთაგონებულნი, ქმნიდნენ თავიანთ შედეგებს.



სტონიჰერსტის კოლეჯი დღეს

ჩვენთვის ცნობილია, რომ მამული თარიღდება XI საუკუნით; ის ეკუთვნოდა ინგლისის ერთ-ერთ მდიდარ ოჯახს. უკვე 1362 წელს ამ ოჯახის ერთ-ერთმა წევრმა აქ დააარსა სამლოცველო, შემდგომ, 1530 წელს, სახლში მდებარე შუა საუკუნეების დარბაზი დაანგრის, რათა შეემზადებინათ ადგილი ახალი, უფრო ფართო სახლის ასაგებად იმდროინდელი ლორდის, მამულის მლობელის, რიჩარდ შაებერნისათვის. თუმცა, შაებერნმა ვერ შეძლო ახალი სახლის მშენებლობის დასრულება, რადგან, ამავდროულად, ინგლისის მეფე ჰენრი VIII, მეუღლესთან, ეკატერინე არაგონელთან, განქორწინების მისაღწევად განუდგა რომის კათოლიკე ეკლესიას და სათავეში ჩაუდგა ინგლისის ეკლესიას, რამაც სათავე დაუდო სასტიკ დევნას მათ

მიმართ, ვინც უარყოფდა მეფის, როგორც ეკლესიის მეთაურის, ძალაუფლების აღიარებას, ასევე, ვინც არ ესწრებოდა ახალ ანგლიკანურ წირვებს. სიკვდილით დასაჯეს ეპისკოპოსი ჯონ ფიშერი და მეფის კანცლერი სერ თომას მორი. ვითარება მთელ ქვეყანაში კრიტიკულად შეიცვალა: ეს იყო კათოლიკე მღვდლებისა და მორწმუნეების ორასწლიანი უმძიმესი დევნის დასაწყისი. ვინც არ მონაწილეობდა ანგლიკანურ რელიგიურ ღონისძიებებში, მას ემუქრებოდა ჯარიმები, ქონების ჩამორთმევა და პატიმრობა. ჰენრი VIII-მ დახურა იმ მონასტრების უმეტესობა, რომლებიც არ ცნობდნენ მის ძალაუფლებას და ჩამოართვა კათოლიკური ეკლესიები და მამულები მათ, ვინც არ დაემორჩილა. კათოლიკობის აღიარება უკანონო და სიკვდილით დასჯადი გახდა. კათოლიკე მღვდლებს და ყველას, ვინც მათ მფარველობდა, იჭერდნენ და სიცოცხლეს ასაღმებდნენ.

ინგლისის მრავალი ნაგებობა მოგვითხრობს რეკუზანტების (ინგლისელი ქვეშევრდომები, რომლებიც დარჩნენ რომის კათოლიკე ეკლესიის ერთგულნი) გმირულ წარსულზე. მაგალითად, ინგლისში ყოფნის დროს, ვენვიეთ სემლსბერის დარბაზს (Samlesbury hall), მდიდარი კათოლიკე ოჯახის სახლს, რომელიც ახლა ღიაა მნახველთათვის; იგი მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ იცავდნენ ცხოვრების იმ შემზარავ პირობებში კათოლიკე მორწმუნეები აღმსარებლობის უფლებას, საკუთარი თავისა და მთელი ოჯახის კეთილდღეობისა და სიცოცხლის ფასად, მონაწილეობდნენ წმიდა



თეოდორეს სახლი - ძველი ნისქვილი, რომელიც ამჟამად ფუნქციონირებს როგორც ქრისტიანული მემკვიდრეობის ცენტრი

წირვაში, თავშესაფარს აძლევდნენ და სიცოცხლეს უნარჩუნებდნენ კათოლიკე მღვდელმსახურთ. აქ, ოთახში, პატარა ნიშა არის ანთებულ ბუხარში, სადაც სველი სამოსით შემოსილი მღვდლები იმალებოდნენ, რათა არ დამწვარიყვნენ. ხოლო ისეთ ჩვეულებრივ ადგილას (Ladyewell), სადაც იდგა კომოდი, ერთ-ერთი უჯრის უკანა კედლის მიღმა მოწყობილი იყო დაკეცილი, გასაშლელი საიდუმლო საკურთხეველი. მაგრამ დავუბრუნდეთ სტონიჰარსტს: რიჩარდ შაებერნს განსაკუთრებით რთული პერიოდი დაუდგა, მან ვერ შეძლო სახლის მშენებლობის დასრულება, რადგან სახსრები ამოწურა მეფის მიერ დაწესებული დიდი ჯარიმების გამო.

მომდევნო 200 წლის განმავლობაში, შაებერნების საგვარეულომ, რომელიც მხარს უჭერდა კათოლიკე მეფეთა ხაზს, მრავალი განსაცდელი გადაიტანა, მისი ოჯახის ზოგიერთი წევრი საპრობილეშიც კი იყო გამომწყვდეული. საბოლოოდ შაებერნის გვარმა არსებობა შეწყვიტა და მისი მამული უელდებს გადაეცა. რადგან მე-16 საუკუნის ბოლოდან ინგლისში კათოლიკური განათლების მიღება კანონით აკრძალული იყო, იეზუიტმა მღვდელმა რობერტ პარსონმა 1594 წელს დააარსა სკოლა სენტ-ომერსში (დღევანდელი საფრანგეთის ტერიტორია) კათოლიკე ყმანვილთათვის, რომელთა მშობლებს სურდათ შვილებისთვის კათოლიკური განათლება მიეცათ. სკოლა 1762 წლამდე ფუნქციონირებდა, შემდეგ კი გადაიტანეს ქალაქ ბრიუგეში (დღევანდელი ბელგია), სადაც 1794 წლამდე იარსება, რადგან მაშინდელ იმპერატორ ნაპოლეონ ბონაპარტეს არ სურდა, იქ რელიგიური დაწესებულებები რომ ყოფილიყო. ამრიგად, თორმეტი ყმანვილი და მათი აღმზრდელები დაბრუნდნენ ინგლისში, სადაც იმ დროისათვის კათოლიკეების დევნის კანონი

გაუქმებული იყო. თომას უელდმა, სტონიჰარსტის მამულის მფლობელმა, რომელმაც თავად მიიღო განათლება სენტ-ომერსში, თავისი მამული და სახლი იეზუიტებს გადასცა ახალი სკოლისათვის. მე-19 საუკუნის ბოლოს იეზუიტები რიჩარდ შაებერნის პირვანდელი პროექტის მიხედვით სახლის მშენებლობის დასრულებით და სკოლასთან წმიდა პეტრეს ეკლესიის აგებით იყვნენ დაკავებულნი. ასევე ზრუნავდნენ მამულის შემდგომ განვითარებაზე. ამგვარად, იმ დროისათვის ეს კათოლიკური სკოლა ინგლისში ერთ-ერთი წამყვანი და წარმატებული იყო. 1840 წელს იეზუიტებმა სკოლასთან ახ-

ლოს ააშენეს ნისქვილი, რათა სტუდენტები და პედაგოგები პურით მოემარაგებინათ, ასევე ააგეს ობსერვატორია და სამეცნიერო ლაბორატორიები.

მე-20 საუკუნის შუა წლებში ნისქვილის შენობა ნგრევის პირას იყო მისული. 2017 წელს ის იქირავა საქველმოქმედო ორგანიზაციამ „ქრისტიანული მემკვიდრეობის ცენტრი“ (Christian Heritage Center) და ნისქვილი გადაკეთდა წმიდა თეოდორეს სახლად (Theodore House), სადაც ახლა გახსნილია საღვთისმეტყველო კურსები და კულტურული ღონისძიებები ტარდება. ორგანიზაციის თავდაპირველი პროექტი იყო მხარდაჭერა სკოლის რელიგიური არტეფაქტების კოლექციისა, რომელიც მიჩნეულია ყველაზე მნიშვნელოვნად ინგლისურენოვან სამყაროში, რადგან ის შეიცავს უამრავ მტკიცებულებას ინგლისში კათოლიკეების ბედის შესახებ ბოლო 500-ზე მეტი წლის განმავლობაში. კოლექციის ისტორია იწყება მეფე ჰენრი მეშვიდისთვის შეკვეთილი ერთ-ერთი სამოსით, რომელიც იეზუიტების ორდენმა შეინახა და მე-16 საუკუნის ბოლოს საფრანგეთში წაიღო პროტესტანტული ხელისუფლებისაგან დასაცავად. სხვა ნივთებს შორისაა მეფე ჰენრი VII-ის მეუღლისა და შოტლანდიის დედოფალ მარიას ლოცვის წიგნები, რომლებიც მოწმობენ ინგლისის კათოლიკურ წარსულზე. სენს-ომერსის სკოლაში შესანახად გაგზავნილ სიწმიდეებს შორის არის ბეჭედი წმიდა ეპისკოპოს იოანე ფიშერისა, რომელიც სიკვდილით დასაჯა მეფე ჰენრი VIII-მ რწმენისადმი ერთგულების გამო; ნივთები, რომლებიც ეკუთვნოდა მეფე ჰენრი VIII-ის კანცლერს, თომას მორს, რომელიც ასევე მის მიერ იქნა სიკვდილით დასჯილი; თოკი, რომლითაც წმიდა მღვდელი ედმუნდ კამპიონი იყო შეკრული, როდესაც მას სიკვდილით დასჯის ადგილმდე ლონდონის ქუჩებში მიათრევდნენ.



2024 წლის დეკემბერში ჟურნალ „საბაში“ გამოქვეყნდა კითხვარი, რომელზედაც მკითხველს უნდა გაცეცა პასუხი, გამოეხატა თავისი მოსაზრება ჟურნალში დაბეჭდილი მასალების შესახებ, რათა მათი აზრის გათვალისწინებით უფრო ნაყოფიერი ყოფილიყო ჩვენი მუშაობა შემდგომში.

ჟურნალ „საბას“ რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც მონაწილეობა მიიღო ამ გამოკითხვაში და გამოგვიგზავნა პასუხები.

მირქმა – ქრისტიანული ეკლესიის ერთ-ერთი უძველესი დღესასწაული. მირქმას დღესასწაულობენ 2 (15) თებერვალს.

იუდეველთა სჯულის მიხედვით ებრაელებს ევალებოდათ ყოველი პირველშობილი ღმერთისთვის შეენირათ და დაბადებიდან მე-40 დღეს ტაძარში მიეყვანათ. ამის აღსასრულებლად ყრმა იესო ქრისტე მარიამმა და იოსებმა იერუსალიმის ტაძარში მიიყვანეს. ამ დროს იერუსალიმში ცხოვრობდა მოხუცი სვიმეონი, რომელსაც არ სწამდა ქალწულისგან მხსნელის შობის შესახებ. ამის გამო მას ეცნობა, რომ არ მოკვდებოდა, ვიდრე ქრისტეს არ იხილავდა. სვიმეონმა იხილა ქრისტე და ჩაიკრა გულში

მირქმა VI საუკუნემდე განსაკუთრებული ზეიმით არ აღინიშნებოდა. 528 წელს, იმპერატორ იუსტინიანეს (527-565) დროს, ანტიოქიას თავს დაატყდა საშინელი მიწისძვრა, რომელსაც მრავალი ადამიანი ემსხვერპლა. ერთ უბედურებას მეორე დაერთო — შავი ჭირის ეპიდემია: ყოველდღე რამდენიმე ათასი კაცი იხოცებოდა. ამ განსაცდელის ჟამს ერთ კეთილმსახურ ქრისტიანს ზეგარდმო ეუწყა, რომ მირქმის დღესასწაული უფრო საზეიმოდ აღენიშნათ, და, როდესაც ამ დღეს ღამისთვის ლოცვები და ლიტანიობა აღასრულეს, ბიზანტიაში უბედურებათა წყება შეწყდა. ღვთისადმი მადლიერების ნიშნად, 544 წელს, ეკლესიამ განაჩინა, მირქმა (მიგებება) უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი უფრო საზეიმოდ აღენიშნათ.



მირქმა. რეჯო კალაბრიის საკათედრო ტაძარი


განსვენება საუკუნო მიანიჭე მათ, უფალო!



თინა (ნატალია) ტაძარაშვილი
* 02. 11.1936, არალი
† 29. 08. 2024, არალი



თამაზ პარუნაშვილი
* 18. 06.1961, უდე
† 21. 09. 2024, უდე



შოთა აზრიშვილი
* 07. 11. 1933, არალი
† 19. 11. 2024, არალი



ნინა კაკაჩაშვილი
* 01. 10.1932, არალი
† 23. 11. 2024, არალი



თამარ (ლარა) ალაშვილი
* 20. 01.1947, უდე
† 24. 11. 2024, თბილისი



ნინო მამასახლისაშვილი
* 30. 12. 1991, ადიგენი
† 27. 11. 2024, ვალე



გელა აზრიშვილი
* 23. 01.1970, არალი
† 30. 11. 2024, არალი



ლევან ტარაშვილი
* 27. 08. 1946, უდე
† 01. 12. 2024, თბილისი



ავთანდილ აკოშვილი
* 02. 10. 1954, არალი
† 07. 12. 2024, არალი



გიორგი ძალიაშვილი
* 05. 02. 1938, უდე
† 11. 12. 2024, უდე



ეთერ ბალაშვილი
* 02.01.1939, უდე
† 20.12.2024, უდე



ეფრთსინა (ნათელა) აბულაშვილი
* 18. 01.1948, უდე
† 28. 12. 2024, უდე



ნინა ნალიშვილი
* 01. 06. 1939, ვალე
† 06. 01. 2025, ვალე



ნათელა იოშკი
* 10. 04. 1949, თბილისი
† 20. 01. 2025, თბილისი

საიუბილეო წლის გახსნა .
თბილისის საკათედრო ტაძარი



მთავარი რედაქტორი: მ. გაბრიელ ბრატანა CSS
სარედაქციო კომპლენი: ნუგარ ხარაგელიძე, ვერიკო ნოზაძე, შორენა პარუნაშვილი, მერაბ ღვინძე, გიგინო ხოთიშვილი
გამომცემი: საბა ქაბაძე
შეამუშავა: ვინო ბერიძე, თამარ ბერიძე
შეამუშავა: ვინო ბერიძე, თამარ ბერიძე
E-mail: saba.jurnal@gmail.com; რეგისტრაციის №1853, დაარსდა მანანა ანდრიაძის მიერ 1995 წელს, © „საბა“

ISSN 2720-8001

